ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682328650**
თარიღი: **13/10/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოგახსენებთ რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარმოდგენილი და განხილული იყო სამი საბიუჯეტო ცვლილება, ბოლო ცვლილება განხორციელდა მიმდინარე წლის 5 ივნისს N 19 დადგენილებით.

განვლილ პერიოდში მერიამ საკრებულოს რამდენჯერმე აცნობა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანებების შესახებ, სადაც ასახული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების დაუყოვნებლივი ასახვის ინფორმაცია. მათ შორის:

მიმდინარე წლის 15/06 N 68- 682 316 649 მიმართვით გეცნობათ საქ. მთავრობის N 116

განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორცილების მიზნით, დაზიანებული კერძო მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი სახლის გადასახურად 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით 240 000 (ორასორმოცი ათასი) ლარის გამოყოფის შეახებ.

28 ივნისს N 68-682 317 945 მომართვით გეცნობათ საქ. მთავრობის N 2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის 6 362 ლარით შემცირების შესახებ.

17 ივლისის N 68-682 319 833 მომართვით გეცნობათ საქ. მთავრობის N 147 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 153 842 ლარის ასახვის შესახებ;

24 აგვისტოს N 68 682 323 653 მომართვით გეცნობათ საქ. მთავრობის N 2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერით დამატებით გამოყოფილი 1 150 00 ლარის ასახვის შესახებ.

05 ოქტომბერს N 68-682 327 871 მომართვით გეცნობათ საქ. მთავრობის N 116განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის შედეგად დაზიანებული კინოთეატრის შენობის აღსადგენად კაპიტალური ტრანსფერით დამატებით გამოყოფილი 650 000 ლარის დაუყოვნებლივი ასახვის შესახებ.

სულ საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი 2 187 480 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, მათ შორის კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 033 638 ლარით და მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე 153 842 ლარით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 19 521 100 ლარი გაიზარდა 2 187 480 ლარით და

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 900 188 ლარი კი გაიზარდა 2 187 480 ლარით და განისაზღვრა 23 087 668 ლარით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 29 სექტემბრის N 04-03/76677 წერილის თანახმად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ,,საქართველოს 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად დან. N 1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პროგნოზირებული დღგ ნომინალურ გამოხატულებაში განისაზღვრა 8 618 400 ლარით ე.ი. დაგეგმილზე

150 400 ლარით მეტი. (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დღგ განისაზღვრებოდა 8 468 000 ლარი). გაზრდილი დღგ-ის ხარჯზე შეუძლებელია ახალი ვალდებულებების აღება, ვინაიდან სხვა შემოსავლებში, კერძოდ ჯარიმების, სანქციების და საურავების სახეში შეუსრულებელი რჩება 2023 წლის გეგმა, რადგან მიმდინარე წელს დაგეგმილი 1 219 392 ლარიდან ცხრა თვეში მიღებულია მხოლოდ 235 415 ლარი. ამიტომ მიზანშეწონილია შემცირდეს ჯარიმების გეგმა დღგ-ს გეგმის გაზრდის ხარჯზე 150 400 ლარით და განისაზღვროს 1 068 992 ლარით;

3. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპების მომართვების თანახმად 2023 საბიუჯეტო წლის დასასრულებლად დამატებით ესაჭიროებათ **208 800 ლარი**

მათ შორის:

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯებში - 16 500 ლარი დან. N 2; დან. N 2-ა

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას 70 000 ლარი, აქედან 33 000 ლარი გარე განათების პროგრამაში ელექტროენერგიისა და შრომის ანაზღაურების ხარჯებისათვის; 37 000 ლარი დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამაში ტექნიკის რემონტის, საწვავის და სხვადასხვა გადაუდებელი ხარჯებისათვის. დანართი N 3;

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლას 3 300 ლარი მუსიკალურ კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის ხარჯებისათვის. დანართი N 4 ;

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 47 500 ლარი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად, ვინაიდან წლის განმავლობაში დაუგეგმავი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნა მეოთხე კვარტლის სუბსიდიიდან ძირითადად შრომის ანაზღაურების ხარჯები. დანართი N 5;

კულტურის ღონისძიებების ხარჯებში 20 000 ლარი სხვდასხვა მ.შ. საახალწლო ღონისძიებებისათვის, დანართი N 6;

ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯებში - 7 000 ლარი გადაუდებელი ხარჯებისათვის.

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრს 10 000 ლარი, გაზეთის ბეჭდის ხარჯისა და ფოტო აპარატის შესაძენად. დანართი N 7;

ა(ა)იპ საზჯანდცვის ცენტრს 9 500 ლარი სხვადასხვა საოფისე ხარჯების გასაწევად. დანართი N 8;

ა(ა)იპ სათნოების სახლს 25 000 ლარი კვების, შრომის ანაზღაურების და სხვადასხვა საოფისე ხარჯებისათვის. დანართი N 9.

მიმდინარე წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა არ იძლევა საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის გაზრდის საშუალებას, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ახალი ვალდებულებების აღება თავისუფალი რესურსებით წარმოდგენილი ხარჯების დასაფარავად, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ვაკანსიების გამო წარმოქმნილი ეკონომია და შესაბამისად გადატანილი იქნას ა(ა)იპ-ების სუბსიდიებში, ინფრასტრუქტურულ, კულტურულ და ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ქმედება, არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებას არც საშემოსავლო და არც ხარჯვით ნაწილში.

ნინო მაღლაკელიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)